ავტორი/ ები): მედეა დესპოტაშვილი

პოზიცია/ები (ასისტენტი, ასოცირებული, სრული პროფესორი): ასოცირებული პროფესორი

მიმართულება: სოციალური ფსიქოლოგია

რუბრიკა/სექცია: (მაგ:ფსიქოლოგია , ემპირიული კვლევები ფსიქოლოგიაში) ფსიქოლოგია

იმიგრანტი ჯგუფისადმი დამოკიდებულება და მასზე მოქმედი ფაქტორები

სათაური

კულტურული ასიმილაცია სულ უფრო აქტუალური საკითხია კროსკულტურული კვლევების სფეროში. მკვლევარები და ავტორები ამ ტერმინის პროცესზე ორიენტირებულ გაგებას გვთავაზობენ და თანხმდებიან იმაზე, რომ გლობალიზაციის პროცესს ამ კუთხით სულ უფრო მეტი გამოწვევები მოაქვს. სხვა ჯგუფის აღქმა და სოციალური წინათრწმენები კარგად ნაკვლევი კოგნიტური პროცესებია, რომლებიც ანალიზის მნიშვნელოვან პერსპექტივას იძლევიან. სოციალური დომინანტობის ორიენტაცია (SDO) და მემარჯვენე ავტორიტარობა (RWA) სოციალური წინათრწმენების ფორმირებაში მნიშვნელოვან ცვლადებად განიხილება. ჩვენ გამოვიყენეთ Duckitt და Sibley (2009), მიდგომა, რათა გვეკვლია RWA / SDO როლი წინათრწმენების ფორმირებაში. ჩვენი კვლევა შეისწავლის სხვადასხვა ფაქტორებს, რაც ამ კავშირის დინამიკას განაპირობებს. შედეგები ნათლად გვიჩვენებს, რომ ეს დინამიკა თაობათა შორის განსხვავდება, რაც შესაძლოა კულტურალურ ღირებულებებს, რელიგიურ მიკუთვნებულობას, ჯგუფის ეკონომიკურ სტატუსს და ინტერესებს უკავშირდებოდეს. ეს საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ცალკეული ჯგუფის წინაშე არსებული გამოწვევები შესაძლოა სხვა ჯგუფის ამა თუ იმ მახასიათებელს მეტად გამოკვეთილს ხდიდეს სოციალური წინათრწმენების ფორმირებისას.